

ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა
IV საუნივერსიტეტო პერიოდის სამეცნიერო
კონფერენციის მასალები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალი

**ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა
IV საუნივერსიტეტო პერიოდო სემინარო
კონფერენციის მასალები**

თბილისი
2006

რედაქტორი

როინე ბერია

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

სარედაქციო კოლეგია:

რომეო ბაღდავა (პასუხისმგებელი მდივანი),
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი

პახაბერ ციციშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ქეთევინო ღარცხელია

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ლარიკო ჟიჟია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

რეცენზენტები:

ზურაბ ჰაბასქიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვლადიმერ კირცხალია

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

© თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2006

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2006

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-51-8

ს ა რ ჩ ე ბ ა

მ ნ ა თ მ მ ე გ ნ ი მ რ ე ბ ა

ნანა ანონაძე	
უძეოური მისი ფერის სტრატეგიების შემუშავება.....	3
Зоя Адамия	
О ФУНКЦИИ ПРОСТОРЕЧНОЙ ЛЕКСИКИ В ХУДОЖЕСТВЕННОМ ТЕКСТЕ.....	7
სვეტლანა ბერიკაშვილი	
ახალი ბერძნული მისი ბრუნვის სისტემა (ავტორის ტრინაგლავილიდისის კლასიფიკაცია).....	11
მაია ღვარამია	
ღისურის რეზერვტული გენერაცია.....	13
ზინკა თორია	
კონტექსტის როლი სიტყვის გონივრების ფორმირების პროცესში.....	21
МАКА КАЧАРВА	
ТЕЛЕВИЗИОННЫЙ ТЕКСТ В АСПЕКТЕ ЛИНГВОКУЛЬТУРОЛОГИИ.....	24
ღალი კორეა	
უძეოური მანჯი ლაპარაკის სწავლების მეთოდები.....	27
ირინე ლომინაძე	
უძეოური მისი ფარინგალიზებული ხმოვნების შესწავლის ფორმირთი ასპექტისათვის.....	35
მაია მარჯანი	
პრეტანული საბავთო სათაურების ვერბალური და ვიზუალური კოდი შევსების თვალსაზრისით.....	41
ИНГА МОРГОШИА	
РАЗЛИЧИЕ МЕЖДУ СИНОНИМАМИ.....	45
მაღლენა ონიგაძე	
სტილის ფორმირთი საკითხისათვის ბოლშოვი ჩოხელის პროზაში.....	48
სოფიო ტაბაღაძე	
შერეალისტური ტექსტი პრაგმატიკულ ასპექტში.....	56
ირინე ყრუაშვილი	
-IN სუფიქსიანი არაორდინარული არსებითი სახელები გერმანული მისი სიტყვაფარგონით სისტემაში.....	58
ბირანდა ჯაჭვლიანი	
ცნობილ მნათმეგნითა კონცეფციები პალენტობის შესახებ გერმანულ ენაში.....	63
თაბარ ჯოჯუა	
კონკრეტის გამონათქვამი გრაგმატიკული ფორმის კონსტრუქციურად სწორი შეჩვევისა და გამოყენებისათვის თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	68

ახალი ბერძნული ენის ბრუნვის სისტემა
(მანოლის ტრიანდაფილიდისის კლასიფიკაცია)

ახალი ბერძნული ენის პერიოდი იწყება 1453 წლიდან, კონსტანტინოპოლის დაცემიდან. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პირობითი მიჯნაა. ახალმა ბერძნულმა რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო ფორმირება. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც თანამედროვე ეპოქაში წარმოიშვა, არის ე. წ. ენის საკითხი (γλωσσικά ζήτημα), რასაც მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა მიეძღვნა.*

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ორი ნორმის – სასაუბრო ხალხურისა და ხელოვნური ლიტერატურული ურთიერთმორიგების საკითხი. მართალია, XVIII საუკუნეში საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაგრამ გამოიკვეთა აზრთა დამეტრული დაპირისპირება სალიტერატურო ნორმის შერჩევის თაობაზე. არსებობდა სამი პოზიცია: ა) ბერძნული სალიტერატურო ენა, უნდა ყოფილიყო ძველი ბერძნული; ბ) ბერძნულს ორიენტაცია უნდა აეღოთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენდა ამ ეპოქის ბერძენთა რეალურ საკომუნიკაციო ენას და რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ძველი ბერძნულისაგან; გ) ადამანდიოს კორაისის მიერ შემოთავაზებულ იქნა კომპრომისული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებდა დიგლოსიის ნეიტრალიზაციას ძველი და ახალი ენობრივი ნორმების სინთეზის გზით, ასე დამკვიდრდა ახალი ენა – კათარევუსა (καθαρεύουσα). თუმცა, შემდგომში ეს ენა თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად განიცდიდა არქაიზაციას და შორდებოდა ჩვეულებრივ სასაუბრო ენას (1,51-55).

XX საუკუნეში იყო ცდები ხალხური ენა ანუ დიმოტიკი ოფიციალურ სამწერლობო ენად დაემკვიდრებინათ. ბრძოლა დიმოტიკისა და კათარევუსას მომხრეებს შორის განსაკუთრებით გამწვავდა ი. ფსიხარისის ნაშრომის: „ჩემი მოგზაურობა“ (“Το ταξίδι μου”, 1888) გამოსვლის შემდეგ. დაიწყო

* ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: Μπαμπινιώτης Γ., Ελληνική γλώσσα, Παρελθόν, Παρόν, Μέλλον, μελετήματα, διαλέξεις και άρθρα, 1977-1993, Gutenberg, Αθήνα 1994; Κριαράς Ε., Η γλώσσα μας, Παρελθόν και Παρόν, Θεσσαλονίκη 1992; Κριαράς Ε., Λόγιοι και Δημοτικισμός, Εκδοτική Αθηνών Α.Ε., Αθήνα 1987; Κριαράς Ε., Πρόσωπα και θέματα, από την Ιστορία του Δημοτικισμού, Τόμος Α', Εκδόσεις Καστανιώτη, Αθήνα 1986; Μέγα Α.Ε., Ιστορία του Γλωσσικού ζήτηματος, Μέρος Α', Αιώνες γλωσσικών αλλοιώσεων (30 π.Χ. – 1750 μ.Χ.), Εκδόσεις “Δωδώνη”, Αθήνα – Γιάννινα 1997; Μέγα Α.Ε., Ιστορία του Γλωσσικού ζήτηματος, Μέρος Β', Αιώνες γλωσσικών αλλοιώσεων (1750 – 1926), Εκδόσεις “Δωδώνη”, Αθήνα – Γιάννινα 1997.

ფსიხარისისა და მისი მემკვიდრეების ბრძოლა გ. ზაძიდაკისა და ათარვეუსას დამცველებთან. ეს ბრძოლა რამდენიმე ეტაპად წარიმართა:

1. მოძრაობა სასაუბრო ენის დასამკვიდრებლად – საგმირო-საბრძოლო პერიოდი (ი. ფსიხარისის გამოჩენა);
2. მოძრაობა სასაუბრო ენის სკოლებში დასამკვიდრებლად (საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მ. ტრიანდაფილიდისი);
3. მოძრაობა სასაუბრო ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისთვის (განათლების სამინისტრო იწვევს სპეციალურ კომისიას, რომლის დახმარებით 1917 წელს სკოლებში პირველად შემოიღეს დიმოტიკის გაკვეთილები) (5, 20).

ბრძოლაში დიმოტიკის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი ადგილი მ. ტრიანდაფილიდისს უჭირავს. იგი არა მხოლოდ სათავეში ედგა საგანმანათლებლო საზოგადოებასა და განათლების სამინისტროს მიერ მოწვეულ კომისიას, არამედ ბერძნული ენის, კერძოდ, დიმოტიკის გრამატიკის შედგენის უწყის ჩამდგმელიც იყო. „ახალი ბერძნულის (დიმოტიკის) გრამატიკა“ (Νεοελληνική γραμματική (της Δημοτικής)”) რამდენიმე მეცნიერის თანამშრომლობით დაიწერა. ესენი იყვნენ: ა. ძარძანოსი, თ. სტავროსი, კ. ლაკონატაქოსი, ვ. ფაბისი, ნ. ანდრიოტისი, მაგრამ გრამატიკის მთავარ ავტორად ითვლება მ. ტრიანდაფილიდისი ითვლება. ეს ნაშრომი 1941 წელს გამოიცა (ს. 310).

1976 წელს, საბერძნეთში შეიდწლიანი დიქტატურის დაცემის შემდეგ, კარამანლისის მთავრობამ დიმოტიკის სახელმწიფო ენის სტატუსი დაანჭვა. 1982 წელს კი ჩატარდა ე. წ. ორთოგრაფიული რეფორმა, რომელმაც საბოლოოდ გაამყარა დიმოტიკის პოზიციები.

მ. ტრიანდაფილიდისს და მის გრამატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბერძნულ ენათმეცნიერებაში. „ჩვენი თაობა დიდად დავალებულია მანოლის ტრიანდაფილიდისაგან. დიმოტიკური მოძრაობის პერიოდში, როცა დაუღალავად ვიღწვოდით ჩვენი ლიტერატურისათვის, გვჭირდებოდა კანონი, წესები, გრამატიკული დისციპლინა, რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროს არ არსებობდა. მანოლის ტრიანდაფილიდისი მხარში ამოგვიდგა, მოგვცა გრამატიკა, რომელიც ასე გვჭირდებოდა; დაგვეხმარა, გავცქიოდი სიტყვებით უაზრო ბრძოლას და ლიტერატურის არსს დაგვრუნებოდა“ – წერდა მანოანი წლების ცნობილი ბერძენი მწერალი ი. ვენეზისი (3).

მ. ტრიანდაფილიდისის ბერძნული ენის გრამატიკას, მიუხედავად ტრადიციული ხასიათისა, შემოაქვს სიახლეებიც „ენათმეცნიერების სულისა და ახალი გრამატიკის მოთხოვნების შესაბამისად“ (6, 311). ორთოგრაფიის ვალსაზრისით, იგი ჯერ კიდევ მიჰყვება ძველ სისტემას, სიტყვების სტორიულ დაწერილობას.

1949 წელს მ. ტრიანდაფილიდისი გამოსცემს გრამატიკის შემოკლებულ ვარიანტს, ახალი ბერძნული ენის გრამატიკის მოკლე კურსს, რომელიც დღემდე სასკოლო სახელმძღვანელოდ გამოიყენება. მ. ტრიანდაფილიდისის გრამატიკა მხოლოდ მორფოლოგიურ საკითხებს განიხილავს, რაც შეეხება სინტაქსს, ამ სფეროს იგი სრულებით არ მოიცავს (4,52).

ბერძნული ენის ბრუნების სისტემის გამოყოფისას მ. ტრიანდაფილიდისი იზიარებს XIX საუკუნის ენათმეცნიერის ა. თუმბის თვალსაზრისს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბერძნული ენის ბრუნების სქესების მიხედვით დაყოფას (9,39-40). ა. თუმბი ძველი და ახალი ბერძნულის მკვლევარი იყო და, როგორც ჩანს, ბერძნულ ენაში ბრუნების სისტემის ტიპების გამოყოფისას საფუძვლად გერმანული ენის პრაქტიკა აიღო. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალ ბერძნულში სქესის მიხედვით დაყოფა არ უტოლდება ბრუნების ტიპებს, ანუ ის ფაქტი, რომ სახელი არის მამრობითი, მდედრობითი ან საშუალო სქესის, არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ბრუნების ერთი განსაზღვრული ტიპი ამა თუ იმ სქესის სახელებისათვის. ასე, მაგალითად, მ. ტრიანდაფილიდისის სისტემის მიხედვით, I ბრუნებაში, ანუ მამრობითი სქესის სახელთა ბრუნებაში, სრულიად განსხვავებული ბრუნების პარადიგმებია. აქ შედის:

- ა) -აც, -იჯ-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი სახელები;
- ბ) -აც, -იჯ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი სახელები;
- გ) -ეჯ, -ისჯ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი სახელები;
- დ) -ოს-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი სახელები.

ეს სახელები სრულიად განსხვავებულად იბრუნვის, რაც ძალიან დამაბნეველია ბერძნული ენის შესწავლის დროს.

მ. ტრიანდაფილიდისის სისტემით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცალკე განიხილება მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა თანაბარმარცვლიან და არათანაბარმარცვლიან სიტყვებად.

თანაბარმარცვლიანებს (ισοσκλημα) მრავლობითი რიცხვის ფორმებში იმდენივე მარცვლი აქვთ, რამდენიც მხოლოდობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. მაგალითად, μήνας – μήνες, χιρά – χιράδες.

არათანაბარმარცვლიანებს (ανισοσκλημα) მრავლობითი რიცხვის ფორმებში მხოლოდობითი რიცხვის სახელობით ბრუნვასთან შედარებით, აქვთ ერთი მარცვლით მეტა. მაგალითად, περιπίλιάρης – περιπίλιάρηδες, γιαιύ – γιαιύδες (7, 225).

საშუალო სქესის სახელებს ერთი მარცვლით მეტი აქვთ არა მხოლოდ მრავლობით, არამედ მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშიც, მაგალითად, κνμα – κνματα (7, 226).

პირველი ტიპის ბრუნებაში შედის მამრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს განეკუთვნება მამრობითი სქესის -აჲ, -იჲ, -ეჲ, -ოჲ ბოლოკიდურიანი არსებითი სახელები, მეორე ჯგუფს კი -ოჲ ბოლოკიდურიანები.

თანაბარმარცვლიანები მრავლობით რიცხვს აწარმოებენ -ეჲ დაბოლოებით, არათანაბარმარცვლიანები -მეჲ-ით. -ოჲ ბოლოკიდურიანები ყველა თანაბარმარცვლიანია და მრავლობით რიცხვს -ოი დაბოლოებით აწარმოებენ.

პირველი ტიპის ბრუნებისას:

1. -აჲ-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბოლო მარცვალზე ექნება;
2. სამ და მეტ მარცვლიან სიტყვებში მახვილი მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე გადაინაცვლებს;
3. -იჲ-ზე დაბოლოებული სახელები მიჰყვებიან -აჲ-ზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნებას;
4. -ოჲ-ზე დაბოლოებულ სახელებს წოდებითში ექნებათ -ე.
5. თუ -ოჲ-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით და ბრალდებით ბრუნებებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე გადაინაცვლებს.

პირველი ბრუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- ა) ყველა არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდური -ჲ-ს გარეშე აწარმოებს მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით, ბრალდებითსა და წოდებით ბრუნვას (არ იგულისხმება -ოჲ-ზე დაბოლოებული სახელები);
- ბ) ყველა სახელს მრავლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: სახელობითში, ბრალდებითსა და წოდებითში ერთნაირი ფორმა აქვს (არ იგულისხმება -ოჲ-ზე დაბოლოებული სახელები);
- გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მამრობითი სქესის ყველა სახელი ბოლოვდება -აჲ-ზე (7,239-240).

მიუხედავად ამ საერთო ნიშნების არსებობისა, ძირითადად პირველი ტიპის სახელები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბრუნებისას, თანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -აჲ საერთოდ დამახასიათებელია ყველა ტიპის სახელისათვის, მათ შორის მდებრობითი და საშუალო სქესისაც (ერთადერთი გამონაკლისია ამ შემთხვევაში -თჲ, -ჲჲ, -აჲჲ-ზე დაბოლოებული მეორე ბრუნების მდებრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებსაც არქაული ბრუნება ახასიათებთ და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში აქვთ არა -აჲ, არამედ -ეაჲ დაბოლოება).

მეორე ტიპის ბრუნებაში შედის მდებარეობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება -ა, -ი, -ამ, -იცი, -ის-ზე. თანაბარმარცვლიანები მრავლობითს აწარმოებენ -ეც დაბოლოებით, არათანაბარმარცვლიანები -მეც ბოლოკიდურით. -თი, -ქი, -ჟი-ზე დაბოლოებულები მრავლობითში დაირთავენ -ეც.

მეორე ტიპის ბრუნებისას:

1. -ა-ზე დაბოლოებულ სახელების მახვილი ყველა ბრუნვაში თავდაპირველ ადგილზე რჩება, გარდა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითისა, სადაც ის ბოლო მარცვალზე გადაინაცვლებს;
2. -ი-ზე დაბოლოებულ ზოგიერთ სახელში, რომლებსაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში ერთი მარცვლით გადაინაცვლებს;
3. -ა-ზე დაბოლოებული ზოგი სახელი წესს არ ემორჩილება და მახვილს ყველგან ინარჩუნებს;
4. -ი-ზე დაბოლოებული სახელები, რომელთაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდით, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას არ აწარმოებენ;
5. -ი-ზე დაბოლოებული სახელების მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მახვილი ყოველთვის ბოლო მარცვალზეა;
6. -თი, -ქი, -ჟი-ზე დაბოლოებულ სახელებს ახასიათებთ ე. წ. არქაული ბრუნება;
7. ე. წ. არქაული ბრუნების სახელებში თუ მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა, მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში ერთი მარცვლით გადაინაცვლებს;
8. -იცი-ზე დაბოლოებული მდებარეობითი სქესის სახელები მამრობითი სქესის მსგავსად იბრუნვის.

მეორე ბრუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- ა) ყველა მდებარეობითი სქესის სახელი მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვას აწარმოებს სახელობითის ფორმაზე -ც-ს დართვით;
- ბ) ყველა სახელს ორივე რიცხვის სამ ბრუნვაში: სახელობითში, ბრალდებითსა და წოდებითში ერთნაირი ფორმა აქვს;
- გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ყველა სახელი ბოლოვდება -ავ-ზე (7,247-248).

როგორც ვნახეთ, მეორე ბრუნებაშიც უამრავი სახელია, რომელიც განსხვავებულად იბრუნვის, მათ შორის არის არქაული ბრუნების -იცი-ზე დაბოლოებული მდებარეობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ზემოჩამოთვლილ არც ერთ წესს არ ემორჩილებიან და მამრობითი სქესის -იცი-ზე დაბოლოებული სახელების მსგავსად იბრუნვის, ამიტომ, ჩვენი აზრით,

სრულიად გაუმართლებელია ამ სახელების მეორე ტიპის ბრუნებაში შეყვანა.

მესამე ტიპის ბრუნებაში შედის საშუალო სქესის არსებითი სახელები; იყოფა ორ ჯგუფად: თანაბარმარცვლიანები, რომლებიც ბოლოვდება -ო, -ი, -ოც-ზე და არათანაბარმარცვლიანები -მა, -შია, -აც, -მც-ზე.

მესამე ტიპის ბრუნებისას:

1. -ო-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი რჩებათ თავდაპირველ მარცვალზე;
2. თუ სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში იგი ერთი მარცვლით გადაინაცვლებს;
3. გამონაკლისის სახით, ზოგიერთ სამმარცვლიან სახელში მახვილი ადგილს არ იცვლის;
4. -ი-ზე დაბოლოებულ სახელებში ორივე რიცხვის ნათესაობითში მახვილი ყოველთვის ბოლო მარცვალზეა;
5. ზოგ სახელს სახელობით ბრუნვაში აქვს -ს დაბოლოება, რომელიც მხოლობითი რიცხვის გენტივისა და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში -ი-თი შეიცვლება.
6. -ოც-ზე დაბოლოებულ საშუალო სქესის სახელებს მრავლობით რიცხვში ექნება -ი დაბოლოება.
მესამე ბრუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:
 - ა) საშუალო სქესის ყველა სახელი ორივე რიცხვში ერთნაირად აწარმოებს სამ ბრუნვას: სახელობითს, ბრალდებითსა და წოდებითს;
 - ბ) არათანაბარმარცვლიან სახელებს მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მახვილი აქვთ ბოლოდან მეორე მარცვალზე;
 - გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ყველა სახელს აქვს -თვ დაბოლოება (7,253).

მაშასადამე, მ. ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში შეიძლება დავასახელოთ თითოეული ბრუნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი, ეს გახლავთ სამ ბრუნვაში სახელის ერთნაირი ფორმები: პირველი ტიპის სახელებისათვის ეს ბრუნვებია: ნათესაობითი, ბრალდებითი და წოდებითი მხოლობით რიცხვში, და სახელობითი, ბრალდებითი და წოდებითი მრავლობით რიცხვში; მეორე და მესამე ბრუნებისათვის კი, სახელობითი, ბრალდებითი და წოდებითი ორსავე რიცხვში. მაგრამ, ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, უფრო იმას მიუთითებს, რომ სახელის ბრუნებისას ორი ფორმის დაპირისპირება საერთოდ ბერძნულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, საქმე გვაქვს ქვემდებარის ბრუნვის დაპირისპირებასთან დამატების ბრუნვასთან, და ამიტომაც იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ განმსაზღვრველად ბრუნების ტიპების გამოყოფისას.

როგორც ჩანს, მ. ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებულმა კლასიფიკაციამ, რომელიც მნიშვნელოვან საფუძველს ეყრდნობა, (ანუ აქ უნდა დავიმახსოვროთ, რომელი სახელი ეკუთვნის მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის ბრუნებებს, მათი ფუძის დაბოლოების გათვალისწინების გარეშე) (2, 58), საყოველთაო აღიარება იმიტომ მოიპოვა, რომ ის ერთი შეხედვით მარტივია – გვთავაზობს ბრუნების მხოლოდ სამ ტიპს, რომელთა დიფერენციაცია ძალიან ადვილია სახელთა სქესების მიხედვით. მაგრამ ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლისას ნათელი ხდება, რომ ეს სიმარტივე ილუზორულია და თითოეული ტიპის ფარგლებში ბევრი განსხვავებული ქვეკატეგორიაა. იმიტომ ყველა მეცნიერი ამ კლასიფიკაციას არ იზიარებს და არსებობს ალტერნატიული კლასიფიკაციებიც (8, 6-16).

ლიტერატურა

1. ბერიკაშვილი ს., შამანილი ს., ბერძნული განმანათლებლობა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, რედაქტორი შამანილი ს., ლოგოსი, თბილისი 2005.
2. გორდუზიანი რ., დარჩია ი., შამანილი ს., ძველი და ახალი ბერძნული, შედარებითი გრამატიკა, ლოგოსი, თბ., 2000.
3. Βενέζης Η., Ο άνθρωπος και η εποχή του, Αθήνα 1959. <http://cds.lib.auth.gr/archive.shtml?base=ARC&id=arc-2005-11876>
4. Mackridge P., Η Νεοελληνική γλώσσα, μετάφραση: Πετρόπουλος Κ., Εκδόσεις Πατάκη, Αθήνα 1990.
5. Μπαμπινιώτης Γ., Συνοπτική ιστορία της Ελληνικής γλώσσας, με εισαγωγή στην ιστορικοσυγκριτική γλωσσολογία, Μ. Ρωμανός ΕΠΕ, Αθήνα 2002.
6. Μώρος Γ., Η γραμματική του Μ. Τριανταφυλλίδη, Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, Επιμέλεια του Κοπιδάκη Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999.
7. Τριανταφυλλίδης Μ., Νεοελληνική γραμματική (της δημοτικής), Ανατύπωση της έκδοσης του ΟΕΣΒ (1941) με διορθώσεις, Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Ινστιτούτο Νεοελληνικών Σπουδών, Ίδρυμα Μανόλη Τριανταφυλλίδη, Θεσσαλονίκη 2002.
8. Berikashvili S., For Alternative Classification of Declension System in Modern Greek, Phasis, Greek and Roman Studies, Vol. 8, Logos 2005.
9. Thumb A., Handbuch der Neugriechischen Volkssprache, verlag von Karl J. Brüner, Strassburg 1910.

SVETLANA BERIKASHVILI
DECLENSION SYSTEM IN MODERN GREEK
(MANOLIS TRIANDAFILIDIS' CLASSIFICATION)

Summary

Since Antiquity the classification of the declension system in the Greek language has essentially changed. Initially the classification of the declension system in the Greek Language (Ancient Greek) was based on the so-called linguistic principle i.e. stem endings of nouns. Later, in Modern Greek it was connected to the grammatical category of gender i.e. the linguistical principle of classification has been changed to the mnemotechnical one. The issues related with the classification of the declension system in Modern Greek prove quite relevant nowadays.

The author of the most accepted classification is Manolis Triandafilidis. He shares the opinion of the well known scholar of the XIX century, Albert Thumb, which first offered the classification of the declension system in Modern Greek according to gender. Albert Thumb was famous German linguist, researcher of Ancient and Modern Greek, and while distinguishing the types of the Modern Greek declension, he evidently took as basis the practice of the German language. The problem is that in Modern Greek the identification of declension types according to the gender of the nouns, is not relevant.

The declension system of Manolis Triandafilidis distinguishes between masculine, feminine and neuter nouns, with equal and unequal number of syllables. The first type of the declension includes masculine nouns, the second one – feminine nouns, while in the third type there are neuter nouns. The nouns given in one type decline differently, and therefore, this classification is too difficult to understand while studying the Modern Greek language.

M. Triandafilidis' system had been found successful because of its simplicity. There are three types, which are differentiated through their genders. However, closer study shows that the simplicity is apparent as each type includes a lot of different subcategories. Therefore, M. Triandafilidis' system has a large number of opponents that prefer to turn to alternative classifications.